GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

12 Ağustos / აგვისტო 2022

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 688.6	5015.3	10.4%	20.6 %	11.5 %

Demirören Holding Gürcistan'da
Demirören ჰოლდინგი საქართველოში

Gürcistan Başbakanı, Demirören Holding Yönetim Kurulu Başkanı Yıldırım Demirören'i ağırladı. Türkiye'nin en büyük holdinglerinden biri, enerji, medya, imalat, gayrimenkul, turizm, eğitim ve teknoloji gibi sektörlerde yatırım yapmakta ve faaliyet göstermektedir. Başbakanlıkta yapılan toplantıya, Demirören Holding Başkan Yardımcısı Ziya Alemdar, holdingin Denetim Kurulu üyeleri Sinan Oktay ve Alaattin Aykaç, "Lidya Group" Yönetim Kurulu Başkanı Kıvanç Oktay ve "Petrokas Energy Group" kurucusu İvane Nakaidze de katıldı.

Taraflar gelecekteki işbirliği imkanları tartıştılar. Toplantı sırasında turizm sektörü, gayrimenkul sektörü, enerji ve bilgi teknolojileri alanlarında yatırım yapma imkanına dikkat edildi. Holding temsilciler Tskaltubo'da yeni bir 5 yıldızlı otel "Old Iveria" inşaatı için büyük bir yatırım yapacağı kaydetti.

Başbakanın belirttiği gibi Gürcistan yatırımcılar için istikrarlı ve elverişli bir iş ortamına sahiptir. Düşük vergiler ve ülkenin konum, Gürcistan'ı yabancı yatırımcılar için çekici kılmaktadır.

საქართველოს პრემიერ მინისტრმა Demirören ჰოლდინგის თავმჯდომარეს ილდირიმ დემირორენს უმასპინძლა. ერთ-ერთი უმსხვილესი თურქული გაერთიანება ინვესტიციებს დებს და მოღვაწეობს ისეთ სექტორებში როგორიცაა: ენერგეტიკა, მედია, წარმოება, უძრავი ქონება, ტურიზმი, განათლება და ტექნოლოგია. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ Demirören ჰოლდინგის ვიცე-პრეზიდენტი ზია ალემდარი, ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლები - სინან ოქტაი და ალაათინ აიკაჩი, „Lidya ჯგუფის" თავმჯდომარე კივანჩ ოქტაი და "პეტროკას ენერჯი ჯგუფის" დამფუძნებელი ივანე ნაკაიძე.
მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ყურადღება დაეთმო ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში, უძრავი ქონების სექტორში, ენერგეტიკასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში. აღინიშნა, რომ კომპანიის მხრიდან წყალტუბოში ახალი, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს - „ძველი ივერია" მშენებლობისთვის მსხვილი ინვესტიცია განხორციელდება.
პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოში ინვესტორებისთვის სტაბილური და ხელსაყრელი ბიზნესგარემოა. დაბალი გადასახადები და ქვეყნის უნიკალური ადგილმდებარეობა კი საქართველოს უცხოელი ინვესტორებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Gürcistan'da Hizmet İthalat-İhracatı
მომსახურების იმპორტ-ექსპორტი საქართველოში

İstatistik kurumun verilerine göre 2021 yılında Gürcistan'dan yapılan hizmet ihracatı 2.546 milyar dolar olarak gerçekleşti (%61.2 artış). Aynı döneminde hizmet ithalatı ise 1.822 milyar dolar oldu (%25.2 artış). Pozitif ticaret dengesi, 2020 ticaret dengesinin 6 katı olan 724,0 milyon dolar teşkil etmiştir.

2021'de seyahat, hizmet ihracatında 1.245 milyar dolarla en üst sırada yer aldı ve toplam hizmet ihracatının yarısını oluşturdu. İkinci sırada 822.6 milyon ABD doları ile ulaştırma hizmeti yer almaktadır - %32.3. Telekomünikasyon, bilgisayar ve bilişim hizmetleri 215.9 milyon ile üçüncü sırada yer almaktadır -% 8.5.

2021 yılında hizmet ithalatında ise 1.086 milyar doları ile en büyük hizmet ulaştırma hizmeti olmuştur - %59.6, ikinci sırada 184,1 milyon doları ile seyahat yer almaktadır - %10,1. Üçüncü sırada 119.3 milyon doları ile sigorta hizmetleri yer alıyor - %6,5.

2021 yılında, ülkenin hizmet ihracatındaki en büyük on ihracatçının payı, toplam ihracatın %61.4'ünü oluşturdu. İhracat açısından en büyük ortak ülkeler: Türkiye (365,5 milyon dolar), Azerbaycan (242.1 milyon dolar) ve Ukrayna (206.7 milyon dolar). İthalat açısından en büyük ortak ülkeler: Çin (344.7 milyon ABD Doları), İran (121.5 milyon ABD Doları) ve Türkiye (102.3 milyon ABD Doları).

საქასტატის მონაცემებით, 2021 წელს საქართველოდან მომსახურების ექსპორტმა 2.546 მლრდ დოლარი შეადგინა, (ზრდა 61.2%). ამავე პერიოდში მომსახურების იმპორტი 1.822 მლრდ დოლარი იყო (ზრდა 25.2%-ია). დადებითმა სავაჭრო ბალანსმა 724.0 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის სავაჭრო ბალანსზე თითქმის 6-ჯერ მეტია.

2021 წელს მომსახურების ექსპორტში მოგზაურობამ დაიკავა პირველი ადგილი 1.245 მლრდ დოლარით, რაც მომსახურების მთლიანი ექსპორტის თითქმის ნახევარს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სატრანსპორტო მომსახურება 822.6 მლნ. აშშ დოლარით - 32.3%, ხოლო მესამე ადგილზეა სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება 215.9 მლნ. აშშ დოლარით - 8.5%.

2021 წლის მომსახურების იმპორტში უმსხვილესი მომსახურება წარმოდგენილია სატრანსპორტო მომსახურების სახით, რომლის იმპორტმა 1.086 მლრდ დოლარი შეადგინა - 59.6%. მეორე ადგილს მოგზაურობა იკავებს 184.1 მლნ დოლარით - 10.1%. ხოლო მესამე ადგილზეა სადაზღვევო მომსახურება 119.3 მლნ დოლარით - 6.5%.

2021 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიანი მომსახურების ექსპორტში 61.4% შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებია: თურქეთი (365.5 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (242.1 მლნ. აშშ დოლარი) და უკრაინა (206.7 მლნ. აშშ დოლარი). უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნებია: ჩინეთი (344.7 მლნ. აშშ დოლარი), ირანი (121.5 მლნ. აშშ დოლარი) და თურქეთი (102.3 მლნ. აშშ დოლარი).

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Enerji Borsası
ენერგეტიკული ბირჟა

Ulusal Düzenleme Komisyonu Başkanı Sn. Davit Narmania'ya göre, yakında ülkede enerji borsası faaliyete geçecektir. Sn. Narmaniyanın belirttiği gibi bu, tüketicilerin ve tedarikçilerin borsada elektrik ticareti yapacağı Avrupa tipi bir elektrik piyasasıdır.

İlk aşamada borsaya en büyük 22 şirket girecek. Daha önce bu şirketler "Telas" (Telmiko) ve "Energo-Pro" dan enerji alırken, piyasa açıldıktan sonra açıktan enerji alım başvurusunda bulunabilecek ve enerjiyi borsadan satın alabilecekler. Borsada aynı zamanda elektrik enerji tedarikçi olan hidroelektrik santraller, termik santraller ve enerji ithalatçılar olacak. Elektrik enerjisinin fiyatı arz ve talep bazında belirlenecek.

Piyasa reformunun bir sonraki aşamasında, şirketler enerjiyi saatlik satın alabilecek. Bu da yoğun olmayan saatlerde daha da düşük bir fiyata enerji satın alınmasını sağlar. Buna göre, ucuz enerji ile şirketler söz konusu reformun temel amacı olan üretim maliyetlerini düşürebilecekler.

Nüfusa, küçük ve orta ölçekli işletmelere gelince, tarifeleri tekrar düzenleyici komisyon tarafından belirlenecek. Sn. Narmania'ya göre daha sonra doğalgaz piyasa reformu başlatılacak ve elektrik sektöründe olduğu gibi burada da borsa açılacak.

მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის დავით ნარმანიას განცხადებით, მალე ქვეყანაში ენერგეტიკული ბირჟა ამოქმედდება. მისი განმარტებით ეს არის ევროპული ტიპის ელექტროენერგიის ბაზარი, სადაც მომხმარებლები და მიმწოდებლები ბირჟაზე ელექტროენერგიით ივაჭრებენ.

პირველი ეტაპისთვის ბირჟაზე ყველაზე მსხვილი 22 კომპანია გავა. თუ კი ეს კომპანიები ძველად „თელასიდან“ (თელმიკოდან) და „ენერგო-პროდან“ ყიდულობდნენ ენერგიას, ბაზრის გახსნის შემდეგ მათ შეეძლებათ ღიად დადონ განაცხადი ენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებით და ბაზარზე შეიძინონ ენერგია. ბაზარზე ასევე იქნებიან ელექტროენერგიის მიმწოდებლები - ჰიდროელექტროსადგურები, თბოსადგურები, იმპორტიორები, რომელთაც ენერგიის გაყიდვის საშუალება ექნებათ. ელექტრო ენერგიის საბაზრო ფასი კი მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ჩამოყალიბდება.

ბაზრის რეფორმის შემდგომი ეტაპისთვის, კომპანიები საათობრივად შეძლებენ ენერგიის შესყიდვას, რაც არა პიკურ საათებში ენერგიის კიდევ უფრო დაბალ ფასად შესყიდვის საშუალებას იძლევა. შესაბამისად იაფი ენერგიით კომპანიები პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას შეძლებენ, რაც აღნიშნული რეფორმის მთავარი მიზანია.

რაც შეეხება მოსახლეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს, მათ ტარიფს კვლავ მარეგულირებელი კომისია დაადგენს. ბ-ნ დავით ნარმანიას განმარტებით მოგვიანებით, ბუნებრივი გაზის ბაზრის რეფორმაც დაიწყება და როგორც ელექტროენერგიის სექტორში, აქაც გაიხსნება ბაზარი.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Petrol Ürünlerinin Satış Fiyatının Düzenlenmesi
ნავთობ პროდუქტების სარეალიზაციო ფასის რეგულირება

Ekonomi ve Finans Bakanları Levan Davitashvili ve Lasha Khutsishvili, Rekabet Kurumu Başkanı Irakli Lekvinadze, akaryakıt satan büyük zincirlerin temsilcileriyle bir araya geldi. Toplantıda taraflar, akaryakıt ürünleri tüketici pazarındaki mevcut durumu, akaryakıt piyasasındaki tahminleri, rekabet konularını ve marjları en aza indirme fırsatlarını ele aldı.

Başbakan Yardımcısı Levan Davitashvili'nin belirttiği gibi, akaryakıt piyasasındaki rekabet ve daha ucuz akaryakıt tedarik kaynaklarının bulunması konuları özel sektörle birlikte ele alındı. Kendi açıklamasına göre, hükümet, özel sektörle birlikte aktif olarak çalışıp, fiyatları düşürmek için maksimum olasılıkları değerlendiriyor.

ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები ლევან დავითაშვილი და ლაშა ხუციშვილი, კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი ლექვინაძე, საწვავის რეალიზატორი მსხვილი ქსელების წარმომადგენლებს შეხვდნენ და მათთან ერთად ნავთობ პროდუქტების სამომხმარებლო ბაზარზე არსებული ვითარება საწვავის ბაზარზე არსებული პროგნოზები, კონკურენციის საკითხები და მარჟების მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობები განიხილეს.

ვიცე-პრემიერის, ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, კერძო სექტორთან ერთად განიხილება საწვავის ბაზარზე კონკურენციის, ასევე საწვავით მომარაგების იაფი წყაროების მოძიების საკითხები. მისივე განცხადებით, მთავრობა, კერძო სექტორთან ერთად, აქტიურად მუშაობს და განიხილავს მაქსიმალურ შესაძლებლობებს ფასების შემცირებასთან დაკავშირებით.

Fındık Hasadı / თხილის მოსავალი 2022

Gürcistan'da fındık hasadın toplama çalışmaları yoğun bir şekilde devam ediyor. Fındık İşleyici ve İhracatçıları Birliği Başkanı Levan Kardava'ya göre, dernek hasad miktarından memnun, ülke yaklaşık 60 000 ton hasat bekliyor. Fakat yoğun yağış mevsimi nedeniyle kalite ile ilgili sorunlar yaşanmaktadır.

Şu an için fındık fiyatı 3 GEL'e kadar değişmekte olup, sezon boyunca çiftçilerden alınacak fındık fiyatı 4 GEL'e kadar yükselebilir. Bilgi için, geçen yıl ağustos ayında 1 kg kırılmamış kaliteli fındık fiyatı 6 ile 7.5 GEL arasında değişiyordu.

საქართველოში თხილის მოსავლის აღების სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ლევან ქარდავას განმარტებით ასოციაცია თხილის რაოდენობრივი მოცულობით კმაყოფილია, ქვეყანა დაახლოებით 60 000 ტონა მოსავალს ელოდება, თუმცა უხვ ნალექიანი სეზონის გამო პრობლემებია ხარისხთან მიმართებით. ამ დროისთვის თხილის ფასი 3 ლარამდე მერყეობს, სეზონის განმავლობაში კი ფერმერებისგან შესასყიდი თხილის ღირებულება შესაძლოა 4 ლარამდე გაიზარდოს. ინფორმაციისთვის, გასული წლის აგვისტოში, 1 კგ გაუტეხავი ხარისხიანი თხილის ღირებულება საშუალოდ, 6-დან 7.5 ლარამდე მერყეობდა.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.7016 **TRY/GEL** – 0.1504 **EUR/GEL** – 2.7916 **GBP/GEL** – 3.2960

USD/GEL

05 - 12 Ağustos 2022

USD/TR

05 - 12 Ağustos 2022

TRY/GEL

05 - 12 Ağustos 2022

BTC – 23 967.5

05 - 12 Ağustos 2022

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası